

პრის-ანონსი

ქვეყნების და ადამიანების დაკავშირება:

ევროკავშირის გავლენა სომხეთის და საქართველოს მოსაზღვრე რეგიონების თანამშრომლობაზე.

7 ივნისი, 2017 - სომხეთ-საქართველოს ტრანსსასაზღვრო ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის წარმატებები და მიღწევები წარდგენილი იქნება 16 ივნისს ქალაქ გიუმრის ტექნოლოგიურ ცენტრში დაგეგმილ შერეულ კონფერენციაზე.

შერეული კონფერენცია „გავლენა რეგიონულ მდგრად განვითარებასა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაზე“ აერთიანებს ერვნილი, რეგიონული და ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურების წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოებას და აზრთა ლიდერებს, საერთაშორისო დონორებს და პარტნიორებს, სომხეთის და საქართველოს ბიზნეს და მედია წრეებს, ასევე პროექტების განმახორციელებელ გუნდებს ორივე მხრიდან.

კონფერენციას გახსნიან სომხეთის ტერიტორიული ადმინისტრაციის და განვითარების მინისტრის მოადგილე **ზ-ნი ვაჩე ტერტერიანი**, გადაწყვეტილების მიმღები გაერთიანებული საბჭოს სომხეთის თავმჯდომარე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **ზ-ნი ირაკლი მატკავა**, გადაწყვეტილების მიმღები გაერთიანებული საბჭოს საქართველოს თავმჯდომარე, და სომხეთში ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელი **ზ-ნი ნოა-ბინ აჯემიანი**.

სომხეთ-საქართველოს თანამშრომლობამ აღმოსავლეთის ტერიტორიული პარტნიორობის ფარგლებში საგრძნობლად გააუმჯობესა ადგილობრივი თემების მიერ ერთმანეთის გაგება, ჩართო ისინი მულტი-კულტურულ დიალოგში, დაეხმარა სტერეოტიპების მსხვერველსა და ნდობის ჩამოყალიბებაში, ხელი შეუწყო სანდო საქმიანი ურთიერთობების დამყარებაში და რეგიონული მდგრადი განვითარების პოპულარიზაციაში. ტრანსსასაზღვრო პროექტების წარმატებები და საუკეთესო გამოცდილება, რომლებიც ორ ქვეყანას შორის მომავალი მყარი ურთიერთობის საფუძველი გახდება, წარდგენილი იქნება ამ კონფერენციაზე.

16 ივნისს მედიის წარმომადგენლები მიწვეულები არიან გიუმრის ტექნოლოგიური ცენტრის სომხეთ-საქართველოს საგრანტო პროექტების გამოფენაზე 12.00დან 13.00საათამდე, ხოლო შერეულ პრეს-კონფერენციაზე - 13.00 საათზე.

საქართველოში ჟურნალისტების წინასწარი აკრედიტაციის და გიუმრის ტრანსპორტირების საკითხზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ქ-ნ ლანა ღვინჯილიას [+995577237740](tel:+995577237740), лана.ghvinjilia@gmail.com

მიმოხილვა:

აღმოსავლეთის ტერიტორიული პარტნიორობის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია შექმნას ხელშემწყობი გარემო მოსაზღვრე ტერიტორიებს შორის - მოლდოვა-უკრაინა, სომხეთი-საქართველო, აზერბაიჯანი-საქართველო და ბელოსრუსი-უკრაინას შორის ამ რეგიონების სპიციფიკის გათვალისწინებით. ასევე პროგრამის ამოცანაა გააძლიეროს ადგილობრივი და რეგიონული სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები და ხელი შეუწყოს მათ ტრანსსასაზღვრო კოოპერაციული პროექტების განხორციელებას. ევროკავშირის საერთო ინვესტიცია ამ პროგრამაში 12.5 მილიონი ევრო შეადგინა. აღმოსავლეთის პარტნიორობა არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც მართავს ამ პროგრამას აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ექვს ქვეყანაში: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველოს, მოლდოვა და უკრაინა. ინიციატივის მიზანია ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის შორის ურთიერთობების გაძლიერება, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება.

ევროკავშირის დაფინანსებით სომხეთ-საქართველოს პროგრამის განხორციელება მათ შორის ტრანსსასაზღვრო ურთიერთობის გაძლიერებისათვის 2015 წლის სექტემბერში დაიწყო. პროგრამის ფარგლებში როგორც სამთავრობო, სათემო და არასამთავრობო

ორგანიზაციები ეძებენ კოოპერაციის გზებს სხვადასხვა საერთო სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისათვის სომხეთის ლორის, შირაკის, ტავუშის მაზრებში და საქართველოს ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ეს პროგრამა აერთიანებს 9 პროექტს სომხეთსა და საქართველოში, რომლებიც ფოკუსირებულია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვის და ადამიანური კავშირების დამყარებაზე კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტის სფეროებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ტატიანა დერევიანკინას, პროგრამის კომუნიკაციის ექსპერტს:

tatiana.derevyankina@eaptc.eu.

<http://www.eaptc.eu>; <https://www.facebook.com/eaptc.eu>; https://twitter.com/EaP_TC



The Programme is implemented by the Altair Asesores led Consortium.
e-mail: office@eaptc.eu
portal: www.eaptc.eu



The Programme is funded by the European Union

The European Union is made up of 28 countries and the people of those countries. It is a unique political and economic partnership founded on the values of respect for human dignity, freedom, equality, the rule of law and human rights. Over more than fifty years we have created a zone of peace, democracy, stability and prosperity on our continent while maintaining cultural diversity, tolerance and individual freedoms. The EU looks to share its values and achievements with neighbouring countries and peoples and those farther afield.